საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/5199
30/05/2023

5199-15-15-2-202305301516

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის [redacted] მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ადვოკატ [redacted] N7368/22 განცხადება, ადვოკატის აცილების შესახებ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, მოწმის ინტერესების დაცვისა და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. დადგენილება ადვოკატმა [redacted] გაასაჩივრა პროკურორთან, რომელმაც გამომძიებლის გადაწყვეტილება ადვოკატის აცილების შესახებ მიიჩნია კანონიერად და დასაბუთებულად.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პროკურორის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა დისციპლინური წარმოების ჩატარება.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

ფაქტობრივი გარემოებები

ადვოკატმა [redacted] განცხადებით[1] მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და განმარტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მესამე განყოფილების გამომძიებელმა, სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე გამოსცა დადგენილება[2] მოწმე [redacted] ინტერესების დაცვისგან მისი აცილების შესახებ.

გამომძიებლის დადგენილების თანახმად, 2022 წლის 27 ივნისს, სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე, ადვოკატი [redacted] გამოიკითხა მოწმის სახით, რის თაობაზეც შედგა გამოკითხვის ოქმი და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. იმავე დღეს, ადვოკატმა წარადგინა ორდერი, ამავე სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით გამოსაკითხი პირის - [redacted] ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. გამომძიებელმა დადგენილება გამოსცა სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და განმარტა, რომ ადვოკატი [redacted] სისხლის სამართლის პროცესში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ვინაიდან მითითებულ საქმეზე გამოკითხულია მოწმის სახით.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, [redacted] მიუთითებს,[3] რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე იცავდა [redacted] უფლებებს, რომელიც, დღეის მდგომარეობით, არსებითად განიხილება ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მითითებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების შეცვლის მიზნით, მოწმის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული ზემოქმედების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დაიწყო ცალკე გამოძიება (სისხლის სამართლის საქმე N[redacted]). აღნიშნულ საქმეზე საგამოძიებო უწყებას სურდა მოწმის სახით გამოეკითხა როგორც [redacted] და, [redacted], ასევე, მისი უფლებადამცველი ადვოკატი - [redacted]

ადვოკატი [redacted] განმარტავს, რომ [redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას. გარდა ამისა, მას სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზეც ჰქონდა გამოცემული ადვოკატის ორდერი, რომლის საფუძველზეც იცავდა მოწმე [redacted] ინტერესებს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, როგორც ადვოკატი, გათავისუფლებული იყო სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე მოწმედ დაკითხვის ვალდებულებისგან.[4] სწორედ ამიტომ, გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რასთან დაკავშირებითაც გამომძიებელმა შეადგინა ოქმი.[5]

---

[1] ადვოკატ[redacted] 2022 წლის 27 ივნისის N7368/22 განცხადება.

[2] „ადვოკატის აცილების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს მესამე განყოფილების გამომძიებლის 2022 წლის 27 ივნისის დადგენილება.

[3] ადვოკატ[redacted] 2022 წლის 1 დეკემბრის N13684/22 განცხადება.

[4] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 50, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ა".

[5] ადვოკატ[redacted] სატელეფონო გასაუბრების ოქმი. 23.02.2023.

ადვოკატმა [redacted] გამომძიებლის დადგენილება გაასაჩივრა[6] ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორთან, რომელმაც არ დააკმაყოფილა საჩივარი და განმარტა, რომ სისხლის სამართლის N [redacted] საქმეზე, 2022 წლის 27 ივნისს, [redacted] გამოიკითხა მოწმის სახით. ამასთან, წარადგინა ორდერი და როგორც [redacted] ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, მოითხოვა [redacted] გამოკითხვაზე დასწრება.

წარმოდგენილ წერილში პროკურორი მიუთითებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის „ა" ქვეპუნქტსა და მე-3 მუხლის მე-20 ნაწილზე და განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმები ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოების არსებობას უკავშირებს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის ფლობის ფაქტს და არა მიწოდებული ინფორმაციის შინაარსს.

პროკურორის განმარტებით, დასახელებული ნორმების საფუძველზე, ჩატარებული გამოძიებით დადგენილი, ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გამოძიების სტადიაზე ადვოკატის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საკითხი წყდება პროცესის მწარმოებელი პირის/ორგანოს მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს გამომძიებელ [redacted] 2022 წლის 27 ივნისის დადგენილება კანონიერია.

გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ადვოკატ [redacted] აცილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს გამომძიებლის დადგენილება მიჩნეულია კანონიერად და დასაბუთებულად.[7]

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია 2022 წლის 27 ივნისს, გამომძიებლის მიერ, სისხლის სამართლის N [redacted] საქმეზე, ადვოკატ [redacted]ს მიმართ შედგენილი გამოკითხვის ოქმის შინაარსთან დაკავშირებით.[8]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის N [redacted] საქმეზე, 2022 წლის 27 ივნისს, ადვოკატმა [redacted] მოწმის სახით გამოკითხვაზე უარი განაცხადა, რაც აისახა მოწმის გამოკითხვის ოქმში.[9]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ადვოკატმა [redacted], სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი განაცხადა გამოკითხვაში

---

[6] ადვოკატ [redacted] 2022 წლის 27 ივნისის NCA0041225159332 საჩივარი.
[7] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 ნოემბრის N13/69846 საპასუხო წერილი.
[8] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 29 ნოემბრის N15-15/11898 წერილი.
[9] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 6 დეკემბრის N MIA 9 22 03447507 საპასუხო წერილი.

მონაწილეობაზე და როგორც [redacted] ინტერესების დამცველმა, წარადგინა ადვოკატის ორდერი. მიუხედავად ამისა, გამომძიებელმა შეადგინა გამოკითხვის ოქმი, რომელშიც ასახულია არა სისხლის სამართლის N[redacted] საქმის გარემოებების დასადგენად საჭირო ინფორმაცია, არამედ ადვოკატის უარი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ამდენად, გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, ადვოკატ [redacted] დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ შეეზღუდა სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის სტატუსით მონაწილეობის უფლება და არ მიეცა მოწმე [redacted] ინტერესების დაცვის შესაძლებლობა, რაც სისხლის სამართლის N[redacted] საქმის საპროცესო ხელმძღვანელმა პროკურორმა მიიჩნია კანონიერად და დასაბუთებულად.

სამართლებრივი დასაბუთება

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში."[10]

„ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.[11] „ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით."[12] „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.[13]

„ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება, იძულება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა."[14]

„... ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ადეკვატური დაცვა, რომელზეც ყველა ადამიანს აქვს უფლება, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ან სამოქალაქო და პოლიტიკური, მოითხოვს, რომ ყველა პირს ჰქონდეს

---

[10] „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 1, პუნქტი 2.
[11] იხ. იქვე, მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა".
[12] იხ. იქვე, პუნქტი 2.
[13] იხ. იქვე, მუხლი 5, ქვეპუნქტი „დ".
[14] იხ. იქვე, მუხლი 38, პუნქტი 1.

დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიულ მომსახურებასთან ეფექტური ხელმისაწვდომობის საშუალება."[15]

ყველა ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარება მისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისთვის.[16]

ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული ადვოკატის პროფესიის თავისუფლების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, დისკრიმინაციის და არასათანადო ჩარევის გარეშე საზოგადოების ან ხელისუფლების მხრიდან, კერძოდ, ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით.[17]

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე.[18]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, „ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი."[19]

ამავე კოდექსის თანახმად, „მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ."[20]

„მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ადვოკატს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით."[21]

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოების დროს, გამომძიებლის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ექვემდებარება საპროკურორო კონტროლს, რაც, განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებთან ერთად, პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ხელმღვანელობის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტია.

---

[15] „გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ", გაერთიანებული ერების მერვე კონგრესი დანაშაულის აღმოფხვრისა და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ, ჰავანა, კუბა, 1990, პრეამბულა, აბზაცი 9.

[16] იხ. იქვე, პარა. 1.

[17] „ადვოკატთა პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ" ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2000)21, პრინციპი I, ქვეპუნქტი 1.

[18] იხ. იქვე, პარა. 16.

[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 60, ქვეპუნქტი „ა".

[20] იხ. იქვე, მუხლი 3, ნაწილი 20.

[21] იხ. იქვე, მუხლი 50, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ა".

კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პროკურორს ანიჭებს გამომძიებლის დადგენილების გაუქმების და გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო საჩივრის განხილვის უფლებამოსილებას.[22] პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს გამომძიებლის დადგენილება, თუ ის დაუსაბუთებელია, აშკარად ეწინააღმდეგება კანონს და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ზღუდავს ადამიანის უფლებას ან დაბრკოლებას უქმნის პირს მისთვის მინიჭებული უფლებით სარგებლობაში.

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმის ანალიზით დგინდება, რომ სისხლის სამართლის N[redacted] საქმეზე ადვოკატ [redacted] არ მიუღია გამოკითხვაში მონაწილეობა და გამომძიებლისთვის არ მიუწოდებია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ **პირი მოწმის სტატუსს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ.**

ის ფაქტი, რომ [redacted] მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლზე, რომელიც ათავისუფლებდა მოწმედ დაკითხვის ვალდებულებისგან და უარი განაცხადა გამოკითხვაზე, ხოლო გამომძიებელმა გამოკითხვაზე უარის თქმის შესახებ ოქმის ნაცვლად, შეადგინა გამოკითხვის ოქმი, არ იძლევა [redacted] მოწმის საპროცესო სტატუსის მინიჭების საფუძველს. სწორედ ამიტომ, გამომძიებლის დადგენილება არის უსაფუძვლო, რის შედეგადაც ადვოკატ [redacted] არალეგიტიმურად შეეზღუდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო მოწმე [redacted], - მის მიერ არჩეული ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება.

ზემოაღნიშნული, გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციიდან გამომდინარე, პროკურორ [redacted] ჯეროვნად უნდა განეხილა ადვოკატ [redacted] საჩივარი გამომძიებელ [redacted] დადგენილებასთან დაკავშირებით. თუმცა, პროკურორმა კანონის არასწორი ინტერპრეტაციითა და ვითარებასთან მისადაგებით, უგულებელყო [redacted] დაცვის უფლების შეზღუდვისა და ადვოკატის საქმიანობის უსაფუძვლოდ ხელშეშლის ფაქტები.

პროკურორმა განმარტა, რომ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოების არსებობას უკავშირებს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის ფლობის ფაქტს და არა მიწოდებული ინფორმაციის შინაარსს," რის საფუძველზეც, პროკურორმა გამომძიებლის დადგენილება მიიჩნია კანონიერად და დასაბუთებულად.

---

[22] იხ. იქვე, მუხლი 33, ნაწილი 6, ქვეპუნქტები „ვ" და „თ".

საქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ [redacted] გამომძიებლისთვის არ მიუწოდებია სისხლის სამართლის N[redacted] საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაცია. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე უარის თქმა, ხოლო გამომძიებლის მიერ აღნიშნული ფაქტის დოკუმენტირება, პირს ავტომატურად სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ არ აქცევს. განსახილველ შემთხვევაში, მცდარია პროკურორის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ფლობა წარმოადგენს ადვოკატის აცილების საფუძველს, ვინაიდან, აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს, კანონით დადგენილი წესით, არ ჰქონდა დაფიქსირებული გამოკითხვის ოქმში.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გამომძიებელს სურდა [redacted] იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც [redacted] ფლობდა არა როგორც ფიზიკური პირი, არამედ მიღებული ჰქონდა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების შედეგად, რაც პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს. ამას ადასტურებს [redacted] მიერ დასახელებული, გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა, რომელიც ადვოკატს ათავისუფლებს მოწმედ დაკითხვის ვალდებულებისგან იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, [redacted] მიერ გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ფლობის შემთხვევაშიც კი, კანონის თანახმად, გამომძიებელი არ იყო უფლებამოსილი აეცილებინა ადვოკატი [redacted] უფლებების დაცვისგან, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მხოლოდ ინფორმაციის ფლობა არ ანიჭებს პირს მოწმის სტატუსს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გამომძიებელ [redacted] გადაწყვეტილებაზე საპროკურორო კონტროლის განმახორციელებელმა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, [redacted] მიიღო არალეგიტიმური გადაწყვეტილება და ძალაში დატოვა გამომძიებლის დადგენილება [redacted] აცილების შესახებ. შესაბამისად, პროკურორის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას,[23] რაც წარმოადგენს მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური წარმოება და მიიღოთ

[23] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 76, პუნქტი 8, ქვეპუნქტი „ა“.

კანონშესაბამისი გადაწყვეტილება ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის, [redacted] მიმართ, რომელმაც არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა და კანონიერად და დასაბუთებულად სცნო გამომძიებლის დადგენილება ადვოკატ [redacted] აცილების თაობაზე, რის საფუძველზეც, [redacted] ხელი შეეშალა საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, ხოლო [redacted], ვერ ისარგებლა მის მიერ არჩეული ადვოკატის მომსახურებით.

ამასთან, გთხოვთ, წინადადების განხილვის შედეგები აცნობოთ სახალხო დამცველს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი